№ 15
პარასკევი, 19 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 15
პარასკევი, 19 იანვარი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 21 იანვარს, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გარდაცვალების მეორმოცე დღეს გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

გიორგი ბესარიონის ძის ღოღობერიძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმანი. წირვა დაიწყება 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზედ.

(2—14—2)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

საქართველოს ისტორია

აკადემიკოსის ბროსსესი, ნაწილი მეორე,

ფასი 70 კაპ.

ნათარგმნი ს. ღოღობერიძისა, გამოცემული ნ. ღოღობერიძის მიერ. იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ.

(5—271—5)

ქართულის მუსიკის მოყვარულთ განზრახვა აქვთ **წარმოადგინონ ქართულს ენაზედ ოპერა**

„დემონი“

რუბინშტეინისა, რომლის თარგმანიც უკვე მზად არის. რადგანაც ამ საქმეს ქართული ენის მცოდნე ხოროში მომღერლები სჭირია, ამისათვის სთხოვენ ქართულის სიმღერის მოყვარულს ყმაწვილ ქალებსა და კაცებს ნუ დაიზარებენ და ხოროში მონაწილეობა მიიღონ.

რეპეტიციები ორშაბათობითა და ხუთშაბათობით არის დანიშნული ბ-ნ ცხომელიძესთან, საღამოს $7^1/_2$ ს., კოჩუბეის ქუჩა, № 27. შეიძლება მიჰმართონ აგრეთვე ბ ნს ყარაევს: 1-ლი პარალელნი ქ. № 24, ფეოდოროვის სახლი.

ამხანაგების მინდობილობით ი. კარგარეთელი

(3—უ—3)

გულითად მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც პირადად თუ წერილობით თანაგრძნობა გამიწიეს დიდ მწუხარებაში. **ვერა იაკობსონი**

(1—15—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ი. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორის მიერ უმაღლესად ებოძათ: წმ. სტანისლავის ორდენი მესამე ხარისხისა—ყულევის ერთ-კლასიან სასწავლებლის მზრუნველს აზნაურს პლატონ წულეისკირსა და ნაქალაქევისას—ნესტორ გაგუას; წმ. ანნას მეორე ხარისხისა—სტატსკი სოვეტნიკს ქაიხოსრო ლორთქიფანიძეს.

გამწესებულ იქმნა: ზაქარია მაჭავარიანი ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში საპოლიციო თანამდებობათა კანდიდატად.

ფელეტონი

„ფული და ხარისხი“

3 მოქმედ. კომედია აზიანისა.

ვასრულებთ ჩვენს დანაპირებს *) და „ივერიის“ მკითხველთ გაგაცნობთ ქ-ნ აზიანის კომედიის „ფული და ხარისხი“.

თუ მართლა მწერლობა, განსაკუთრებით კი სიტყვა-კაზმული მწერლობა, ცხოვრების ანარეკლი მოვლენაა, თუ იგი აღმნიშვნელია ადამიანთ ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა, ერთის სიტყვით, თუ მწერლობა მატიანეა ცხოვრების ამა თუ იმ პირობათა ცვალებადობისა,—მაშასადამე, აქამდისაც უნდა გამოჩენილიყო ისეთი მემატიანე, რომელსაც შესძლებოდა აღენიშნა ყველა ის ცვლილება, რაც მოხდა ჩვენს ცხოვრებაში ამ უკანასკნელ ორმოცდაათს წლის განმავლობაში. იგი უნდა გაჰხდომოდა ხალხს სარკედ, რომელშიაც მას, ხალხს, შესძლებოდა ამოეკითხნა თავისი ავ კარგი.

სიტყვა-კაზმულ პროზაში კიდევ ვხედავთ ნიშნებს ამ გვარის მწერლობისას (ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი და სხვ.) და რაც შეეხება დრამატურგიასა,—იგი დღემდის ყოვლად უნაყოფო იყო.

სამწუხაროა ეს მოვლენა, რადგანაც არც ერთი დარგი მწერლობისა ისე ძლიერი არ არის, ისე ცხოველ მყოფელი და გავლენიანი, როგორც დრამატურგია.

ეს არც გასაკვირველია. სცენიდგან გესმის ცხოველ მეტყველი სიტყვა, სცენაზე ჰხედავ ცოცხალ ადამიანთა მოქმედებას, მათ სულთა სწრაფვას, ახოვანებას, თუ ქუცმაცობას სულისას და ყოველივე, მრავალ გვარის ფერადებით აღბეჭდილი ცოცხლივ სწარმოებს შენ თვალწინ...

სულ სხვაა სიტყვა კაზმული პროზა. რასაკვირველია, იქაც მრავალია სურათ-ხატება ცხოვრებისა, იგიც იმავე საგანს ემსახურება, რასაც დრამატურგია, მაგრამ შთაბეჭდილება პირველისა, მეორესთან შედარებით, უფრო სუსტია და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან გაუთანასწოროდეს დრამატიულ ნაწარმოების ზედგავლენას, როდესაც მკითხველი ესტეტიკურად ძლიერ არის განვითარებული, როდესაც წარმოდგენითი ძალა იქამდის აქვს გამახვილებული, რომ შეუძლიან კითხვის დროს იგი მსახიობად გამოიყენოს და მას შეასრულებინოს ის როლი, რომელსაც დრამაში თუ კომედიაში მსახიობი ასრულებს.

მას შემდეგ, რაც გ. ერისთავმა ზურაბ ანტონოვმა და აქვ. ცოგარელმა ნიჭიერად აღნიშნეს ჩვენი ცხოვრების პირ ვარამი, დრონი შესამჩნევად იცვალნენ; ამასთან ერთად იცვალნენ, რასაკვირველია, თვით გმირნი ამ ცხოვრებისანი და ეს ცვალებადობა ჯერ-ჯერობით თვალ ნათლივად დრამასა თუ კომედიას არ აღუნიშნავს.

ამ რიგად, სადრამატურგო ასპარეზი დღემდის თითქმის დაცლილი იყო.

ამის გამო მით უფრო საგულისხმოა ქ-ნის აზიანის ამ ასპარეზზედ გამოსვლა. საგულისხმოა განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი ცხოვრებაში და მარტო ოდენ ცხოვრებაში ჰპოვებს ზეშთამგონებელს მასალას, არ გაუბის ამ ცხოვრების დუხჭირ მოვლენათ, მიუწვდომელ სფეროში არ ეძებს სხვებსავით სულიერ საზრდოს და თავისის, ჯერ-ჯერობით გამოუცდელის, მაგრამ მადლიანის კალმით გვიხატავს იმ სურათებს, რაც მის მგზნებარე გულში აღბეჭდილა.

ჯერ კიდევ „ინჟილერი და დოხტურშივე“ ეტყობა ქ ნ აზიანს თვალხილული ჩახედვა ცხოვრებაში, ადამიანის ბუნების გათვალისწინება, მაგრამ ამავე ნაწარმოებში გამოიხატა ყველა ის ნაკლი, რაც საზოგადოდ ხვედრია გაუწრთვნელის მწერლისა, ე. ი. ფერადების მეტის-მეტად შედედება, ზომიერების არ დაცვა და გადაჭარბებული მარილის მოყრა.

სულ სხვაა „ფული და ხარისხი“... მაგრამ ისევ ის სჯობია მკითხველს ჯერ შინაარსი ვაუწყოთ ამ კომედიისა.

პირველს მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ ნივთიერად დავაგლახებულს თავ. ლაბაძის ოჯახს. თვით ოჯახის მეუფროსე კარგადა ჰგრძნობს, რომ მისი კეთილდღეობა სრულიად გაღარიბების უფსკრულისაკენ დაქანებულა.. იგი ახლა უკვე ჰკუაზეა მოსული, მაგრამ აწ გვიანღაა ეს გამოფხიზლება, რადგანაც რაც რამ სულს აქეთ გააჩნია, სულ მიგირავ მოგირავებული აქვს.

„უბედურს კაცს ქვა აღმართშიაც კი მიეწევაო“, სწორედ ლაბაძეზედ ითქმის, რადგანაც ამ თავადის ერთად ერთი შვილი ლევანი მამის უბედურებას უარესად აღუხჭირებს და ეკლის გვირგვინად ედგმის.

ვინ არის ეს ლევანი? რითი გამოიხატება მისი სულიერი ავლა-დიდება?—აი საკითხი, რომელიც პირველსავე მის დანახვაზედ მაყურებელს ებადება და არც შეიძლება არ დაებადოს, რადგანაც ლევანი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი სისხლ ხორცი.

ავტორი არ იგვიანებს და ძალიან მალევე გვაძლევს პასუხს დაკითხვაზედ.

ჯერ ერთი, მამის სიტყვებიდგან გვესმის, რომ ლევანი გიმნაზიის მესამე თუ მეოთხე კლასიდან არის ექსორია ქმნილი; მერე მამას რუსეთში გაუსტუმრებია „ვოლნოოპრედელიაიუშჩად“ და ჩვენ თვალწინ ლევანი სახლში ჰბრუნდება „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ მუნდირში, სამხედრო სამსახურის მაწყევარი.

დედა, რასაკვირველია, ალერსით და სიყვარულით მიეგებება შვილს, მაგრამ მამას-კი არაფრად ეჭაშნიკება ლევანის ასეთი დაბრუნება და მწარე ღიმილით უპასუხებს ერთ გლეხთაგანს, რომელიც ჩინიანი შვილის მობძანებას ულოცავს: „ჩინი, მე ვიცი, პოლკოვნიკის აპელატები აკერიაო“. *) მერე თვით ლევანი იმავე მოქმედებაში გაგვაცნობს თავისს ზნეობრივ ვინაობას, როდესაც ბიძაშვილთან (თ. კოწია ლაბაძე) საუზმეს მიირთმევს და „ნუნუა“ გაღაკრული მოჰყვება მომავალის შესახებ ოცნებას: „ვიყიდი სამხელ ჩოხა-ახალუხს, შევაკერინებ 2 წყვილ „ლაკიროვანი“ ჩექმებს და შემოვიკრავ ქამარ ხანჯალს „съ насѣчкой“...

მე მგონია, ესეც საკმარისია, რომ თვალწინ წარმოგიდგეთ სრული სურათი ჩვენის ახალგაზდობის ერთის ნაწილისა. როცა უყურებ ამ ორს ჯან-ღონით სავსე, მაგრამ ამასთანავე სულიერ სალარო გამოფიტულ ყმაწვილ-კაცებს, ნება-უნებლიედ

---

*) იხ. თეატრის მატიანე, „ივერია“ № 5.

*) ციტატებს სიტყვა-სიტყვით ვერ აღვნიშნავთ, რადგანაც პიესა ხელთ არა გვაქვს.

გადაყვანილ იქმნა: დროებით საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე სარაჯიშვილი ტფილისის მაზრის საპოლიციო სამმართველოში.

ახალი ამბავი

*** საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ორშაბათს, 15 იანვარს, ჩამოვიდა ტფილისში სიღნაღიდგან.

*** გზათა სამინისტროს აზრადა აქვს შეიმუშავოს ახალი წესები რკინის გზის სადგურებზედ გაზეთებისა და წიგნების გაყიდვისა.

*** 14 იანვარს, ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გამართულ იქმნა წლიური აქტი, რომელსაც მრავალი ხალხი დასწრებია, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნატორი გერშელმანი. საღამოზედ გაუმართავთ ბალი.

*** დღეს, 19 იანვარს, გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც განიხილავს მთა-წმინდაზედ ფუნიკულერის გაყვანის პროექტს.

*** ამა მიმდინარე წლის ნახევარში შინაგან საქმეთა სამინისტრო განიხილავს საკითხს ბავშვ არტისტების შესახებ. სამინისტროს აზრადა აქვს დაიცვას თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში მყოფი ბავშვები ანტრეპრენერებისა და ამ გასართობ ადგილების პატრონთა ძალმომრეობისაგან.

*** საერო განათლების სამინისტრო ამ ცოტა ხანში წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად მოხსენებას სახალხო კითხვათა გამართვის წესების შესახებ.

*** 12 იანვარს, პეტერბურგს, უწმიდესს სინოდში ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი გერმოგენი ხელ-დასხმულ იქმნა ვოლსკის ეპისკოპოსად, სარატოვის ეპარქიის ვიკარად.

*** განზრახვა აქვთ ტფილისსა და პეტერბურგს შორის სატელეგრაფო სადგურების რიცხვი შეამცირონ, რომ უფრო ჩქარა გარდაეცეს ხოლმე დეპეშები ამ ორ ქალაქს შორის.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ინტელიგენტ სომეხთა წრეს განუზრახავს დააარსოს რუსეთში მცხოვრებ სომეხთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

*** ზოგიერს ქალაქს შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ხაზინიდგან სესხის აღებისა. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს უცნობებია გუბერნატორებისათვის, რომ ამიერიდგან ასეთი შუამდგომლობანი არ იქნება შეწყნარებული, რადგანაც სახელმწიფო ხაზინამ ამ ჟამად უნდა დააკმაყოფილოს საზოგადო-სახელმწიფო საჭიროებანი, ხოლო ქალაქებს შეუძლიანთ სესხი აიღონ ბანკებისა და საოპერაციო კრედიტიდგანაო.

*** საქართველოს ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების ზედამხედველის დეკანოზ ი. ვოსტორგოვისათვის უფლება მიუციათ, თვალყური ადევნოს სამღვთო სჯულის სწავლის საქმეს საქალაქო, სახელოსნო და აგრეთვე საერო განათლების პირველ დაწყებითს სკოლებში.

*** დღეს, 19 იანვარს, საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელსაც განსახილველად აქვს შემდეგი საქმეები: 1) სახელოსნო დირექტორის მოხსენება შარშანდელ ხარჯს გადარჩენილ 860 მანეთის სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსამსახურეთა შორის განაწილების შესახებ; 2) ქალაქის სახელოსნო დირექტორის თანამდებ. აღმასრულებლის ა. ი. ოჰანეზოვის ამ თანამდებობაზედ დამტკიცების საქმე; 3) მამა დავითის ქალაქის სკოლის გამგის განცხადება ფულით შეწეობის აღმოჩენის შესახებ. სულ კომისიამ უნდა განიხილოს ათამდე საქმე.

*** როგორც ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდგან სჩანს, წელს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში დაუმზადებიათ სულ 13,070 მანეთისა და 64 კაპ. ნივთეულობა; აქედგან მასალების შესაძენად დახარჯვებიათ 8520 მანეთი და 94 კ., ასე, რომ წმინდა შემოსავალი დარჩენიათ სულ 4,549 მან. და 70 კ., ხოლო რადგანაც წესისამებრ ამ ფულიდგან რამდენიმე პროცენტი მიეცემა ქალაქს, რამდენიმე ხელოსნებს და მოსწავლე ბავშვებს, ვარაუდით წმიდა ფული რჩება 732 მან. 95 კაპ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ეს მოგება სახელოსნო სასწავლებლის საკუთრებად იქმნეს ჩარიცხულიო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში ოთხშაბათს, 17 იანვარს, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა ქალაქის თვითმართველობის ამ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად; რადგანაც სხდომაზედ გამოირკვა, რომ წელს გამგეობას შემოსავალზედ 50,164 მან. მეტი გასავალი ექმნება, გამგეობამ შეამცირა გასავლის ხარჯთ აღრიცხვა ვიდრე 16,777 მანეთამდე; ხოლო, მიიღო რა სხდომამ მხედველობაში ის გარემოება, რომ ხმოსანთა არჩევნის მოახლოვება გააძლიერებს დასაფასებელ გარდასახადის დარჩენილ ფულის მცხოვრებლებისაგან შემოტანას, რადგანაც უამისოდ ცენზი არ ექმნებათ ხმოსნების არჩევნისა, დაადგინა ეს ფულები შეიტანოს მოსალოდნელ შემოსავლის რიცხვში.

*** 16 იანვარს, ტფილისის ქალაქის მოურავს წარუდგენია ტფილისის გუბერნატორისათვის ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორს დაუვალებია ქალაქის მოურავისათვის, წარადგინოს 15 თებერვლამდის ცნობები ქალაქის თვით-მმართველობის გასულ წლის მოქმედების შესახებ.

*** ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს შეუმუშავებია ამავე სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტი.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის შუამდგომლობა აღძრას კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ ნება დაერთოს ახალქალაქის მაზრის მიწის-ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარებელ კომიტეტს მიიღოს შემოწირულობანი ახალქალაქის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულ 24 სოფლის სასარგებლოდ. მაგრამ, რადგანაც მარტო შემოწირულობა არა კმარა მრავალ მშიერ მცხოვრებთა გამოსაკვებად, ამისათვის სამეურნეო საზოგადოების საბჭო სთხოვს აგრეთვე გუბერნატორს, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ გაყვანილ იქმნას განზრახული ახალქალაქ-გუმბრის გზატკეცილი, რომელიც სამუშაოს გაუჩენს ახალქალაქის ღარიბს მცხოვრებლებს.

*** გაზეთ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „პსკოვის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი პოლკოვნიკი სტრუსევიჩი დანიშნულ იქმნა ტფილისის კადეტთა კორპუსის ინსპექტორად“.

*** ტფილისის ქალაქის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში ლაპარაკი აღუძრავთ საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ იმ რიგად, რომ საზოგადოებას ნება დაერთოს დასაზღვევად მიიღოს სავაჭრო დუქნები და საქონელი.

*** ნიკოლოზის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს შუამდგომლობა აღუძრავს მომავალ წლიდგან 1-ლი და მე-2 განყოფილებასთან ორ პარალელურ კლასების დაარსების შესახებ.

*** მომავალ 1902 წლიდგან კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის კანცელარიაში ახალი შტატები იქმნება დაწესებული, რისთვისაც საერო განათლების სამინისტროს ნება დაურთავს საკანცელარიო ხარჯს 1000 მან. მოუმატოს.

*** ბეითალ დედაბრიშვილს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მომატებულ იქმნას სასყიდელი დახოცილ მეწველ ჭირიან საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად, რადგანაც აწ არსებულ სასყიდელზედ გაცილებით მეტ ფასად ღირს გაუკეთესებულ ჯიშის საქონელი, რომელსაც ჰხოცვენო.

*** ქალაქის გამგეობას 17 იანვარს განუხილავს ბ-ნ რობის შუამდგომლობა, ავლაბარში ცხენის რკინის გზის გასაყვანად დეპოსათვის საჭირო ადგილის დათმობის შესახებ და დაუდგენია: დაუთმოს ბ-ნ რობის დეპოს გასამართავად ადგილი კახეთის გზაზედ, ნავთლუღის გზა-ტკეცილის დასაწყისთან.

*** ჰოსად სოჩის საზოგადოების რწმუნებულთა შუამდგომლობის თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის დაუმტკიცებია სოჩის საპოლიციო მაზრის შტატი, რომელიც შესდგება ოთხის

გაგონდებიან შენი საკუთარი ნაცნობები.

კოწიას შესახებ ცალკე ლაპარაკი არა ღირს, რადგანაც ისა და ლევანი ყველაფერში ერთსულ და ერთ-ხორც არიან.

პირველი მოქმედება იმითი თავდება, რომ ლაბაძე—მამა—ფულს ესესხება მდიდარ გლეხს მუშტაძეს და ბევრის თხოვნისა და თანაც მხილების შემდეგ, დაიყოლიებს კიდეც, მაგრამ დიდის სარგებლის დაპირებით...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ-ნ აზიანს ალბად სახეში ჰქონდა აღენიშნა ახალი ტიპი ქართველ გლეხ-ჩარჩ-მოვახშისა, რომელიც ცხოვრებაში უკვე თვალსაჩინოდ გამოისახა, მაგრამ ეს განზრახვა ავტორს ვერ შეუსრულდა, რადგანაც მუშტაძე ეპიზოტიურად და უფერულად არის პიესაში ჩაკერებული.

ყმაწვილი კაცები გადასწყვეტენ, რა წამსაც ლევანის მამა ფულს იშოვნის, ქალაქისაკენ გაეშურნენ და საამო ცხოვრებას მიეცნენ. ამასთანავე ლაპარაკი ჩამოვარდება ქორწინების შესახებ და კოწია სიტყვას გადაუკრავს ლევანსა—მდიდარი სომხის ქალი შეირთეო, მაგრამ ლევანი ჯერ-ჯერობით ტუჩ აბზეკით მიუგებება ამ რჩევას.

მეორე მოქმედებას შევყევართ მდიდარ მოიჯარადრის—არტემ შარბათოვის სახლში.

შარბათოვის ოჯახი ნივთიერად სრული ანტიტეზია თ. ლაბაძის ოჯახისა. სიმდიდრე ამ ოჯახში სდუღს და გადმოდის, მაგრამ შარბათოვის ცოლს სოფიოს და ქალიშვილს მაშოს, როგორცა სჩანს, ამ სიმდიდრით გული აუსუყებიათ და ახლა ხარისხი მოსდომებიათ.

განსაკუთრებით ცოლია გატაცებული იმ სურვილით, რომ დიდ „კნეინებში“ საპატიო ადგილი დაიჭიროს და თავის ოქრო-მარგალიტი დიდ ხალხში გამოამზეუროს. მაშოსაც ლევან ლაბაძე უნახავს „სობრანიეში“, ძალიან მოსწონებია და ეხლა იმის შესახებ-ღა ოცნებობს, რომ „მამაშას“ დახმარებით როგორმე „პაპაშა“ დაიყოლიოს; „პაპაშა“-კი დიდს უარზედ სდგას, ჩემ ქალს ქართველს, და ისიც კნიაზს, არ მივცემო.

ცოლ-ქმრის საუბარი ამ საგნის შესახებ სხარტულად და შესაფერის კილოთია დაწერილი და ამავე საუბრიდგან ირკვევა ზნეობრივი თვისება ერთისაცა და მეორისაც.

ასევე მხატვრულად არის დასურათებული საუბარი თ. ლაბაძისა (მამა), რომელიც შარბათოვთან იმიტომ მოდის, რომ თავისს შვილისათვის ქალი სთხოვოს.

სამწუხაროდ, პიესა ხელთ არა გვაქვს, რომ ეს საგულისხმო დიალოგები ამოვწეროთ.

შარბათოვი დიდ უარზეა, საბუთად-კი ის მოჰყავს, რომ ჩვენ შეუფერებლები ვართო, მაგრამ ცოლი ერევა საქმეში და ლაბაძეს იმ იმედით ისტუმრებს, რომ ყველაფერი გარიგდებაო.

მესამე და უკანასკნელი მოქმედება იმითი იწყება, რომ ლევანსა და კოწიას ვხედავთ უკვე შარბათოვის სახლში მოქეიფეთ. მოჰსხდომიან სასმელებითა და სანოვაგით აჭრელებულს ტაბლას და თან ღვინოს ჰყლურწავენ, თან მღერიან. იმათ ლაპარაკიდგან გამოირკვევა, რომ ლევანი შვიდი თვეა, რაც შარბათოვის სიძეა, ამ მცირე ხნის განმავლობაში ლევანსა და კოწიას რვაას თუმნამდე ფული შეუყლაპიათ და ახლა-კი უკაპეიკოდ არიან. ლევანი კოწიას გარეთ ისტუმრებს—ქუჩაში სადმე მომიცადე, ვიდრე ცოლს ფულს გამოვართმევდეო. შემოდის მაშო (ლევანის ცოლი); ლევანი ფულსა სთხოვს, ქალი უარს მიახლის, მოუვათ ამის გამო უსიამოვნება და ლევანი ცოლზედ საცემრად მიიწევს; მოულოდნელად ოთახში შემოვარდება თვით შარბათოვი, რომელიც შეაჩერებს ლევანს. ქალი გაიქცევა. ახლა სიძე-სიმამრი აიშლებიან, რადგანაც შარბათოვი ფულის უარს ეუბნება. ლევანი სიმამრზედაც მიიწევს ხანჯალ-ამოწვდილი, მაგრამ შარბათოვი მეორე ოთახში გავარდება. ლევანი გადის და მიმავალი სიმამრს ემუქრება, ცოცხალი არ გადამირჩებიო.

ამის შემდეგ მშვენიერი სცენაა, რომელიც სავსებით გვიხატავს ერთის მხრივ სოფიოს და მაშოს სინანულს იმის გამო, რომ ასეთ „შარლატანსა“ და აბეზარ ადამიანს გადაეკიდნენ, როგორიც ლევანია, და მეორეს მხრივ შარბათოვის იმათ მიმართ ყვედრებასა და მხილებას. ცოლი და ქალი იმითი ჰმართლულობენ თავსა, რომ, რა ვიცოდით, თუ ასეთი „შარლატანი“ იქნებოდაო. შემდეგ ქალი დასძენს, რომ უეჭველად უნდა გავეყარო ჩემ ქმარს, თორემ იმასთან გაძლება არ ძალმიძსო. მამა დიდს უარზეა,—მთელი ქვეყანა ჩამქოლავსო და მერე თავისს თავს იმედს აძლევს: ეგ გიჟი უეჭველად სადმე თავს წააწყვეტს, კაცი შემოაკვდება და ამ საშუალებით განვთავისუფლდებითო.

ამ დროს შემოდიან ცოლ-ქმარი ლაბაძეები, სოფლიდგან ჩამოსულნი. შარბათოვები მათ ძალიან ცივად შეხვდებიან; თუმცა ჯერ კიდევ კრინტიც არ დაძრულა, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ სჩანს, რომ ღრუბელი უსიამოვნობისა მათ შორის თან და თან იზრდება და საკმარისია მხოლოდ ერთად ერთი სიტყვაც-კი, რომ განხეთქილების ქუხილმა დაიგრგვინოს.

ეს სიტყვაც, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ, არ დაიგვიანებს... კნეინა მზრუნველობით თავისს შვილს იკითხავს, და გრიგალიც დაიძვრის...

რაღა თქმა უნდა, რომ შარბათოვები მთლად გადმოანთხევენ, რაც-კი რამ დაგუბებული იყო იმათ გულში ლევანის წინააღმდეგ. „კნეინა“ და „კნიაზი“, რასაკვირველია, არ შეიშნევენ შვილის გაუპატიურებას და გაიმართება მათშუა შუშხუნა სიტყვების ტყორცნა.

და სწორედ ეს, მხატვრულად და შესაფერის ფერადებით აღბეჭდილი სცენა ცხად ჰყოფს, რა ძირითადი, ბუნებრივი განსხვავება ჰსუფევს ამ ორ ადამიანთა შორის...

ჯერ-კიდევ ბრძოლის ნიავ-ქარი არ ჩამდგარა, ჯერ-კიდევ გაისმის აქ-თუ იქ მგრგვინავი უკმეხი სიტყვა, რომ სცენაზედ შემოვლენ, ხელისხელ გადაჭდილნი, მღერითა და ყვირილით, გალეშებული ლევანი და კოწია. კოწია იქვე სავარძელზე მიეგდება და მიიძინებს, ლევანი-კი კვლავ სიმამრზედ მიიწევს ხანჯალ ამოწვდილი, მაგრამ წაიქცევა და შემდეგ დედ-მამას მეორე ოთახში გაჰყავთ.

შემოდის ბოქაული და ლევანსა და კოწიას ჰკითხულობს. იმის ნაამბობიდგან მაყურებელთ ეუწყებათ, რომ სადღაც სასტუმროში ლევანსა და კოწიას ვიღაც კაცი აუჩეხიათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე მოქმედების დასაწყისშივე ლევანი და კოწია ვიღაცას ემუქრებიან, ასე რომ ავტორი წინადვე ნიადაგს უმზადებს ბოქაულისაგან მოთხრობილს ამბავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცისაგან; მათ შორის ერთი უფროსი პოლიციელია და სამი უმცროსი. ამ რაზმის შესანახა ხარჯი 730 მან. საზოგადოების გამგეობას თვით უკისრნია.

⁎⁎ ქიზიყი. აქეთ არა ჩვეულებრივი ზამთარია: თითქმის ყოველ კვირას ორი დღე და ღამე მაინც ქარი ქრის. ამას წინად მეორედ ცოტაოდენი თოვლი მოვიდა და ისიც მალევე გაქრა. დაყინებულ ქარებისაგან მიწა გამოფიტულია და ჯეჯილი მიწის პირად ჯერაც არა სჩანს.

⁎⁎ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბეს" მე-12 ნომერი (1900 წლის). შინაარსი ამ ნომრისა: 1, „წუთისოფელი", მოთხ. ს. ს—ასი; 2, „ხალხური ლექსები", გაგონ. ვ. არაბულისაგან; 3, „ვერტერი", გიოტესი, თარგმ. —ნისა (დასასრული); 4, „არქიოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი", თაყაიშვილისა; 5, „სამეგრელოს ღწერა", არქ. ლამბერტისა; 6, „მე-18 საუკ. ქართული თეორია ლექსთაწყობისა", ა. ხახანაშვილი; 7, „შინაარსი 1900 წლის მოამბისა".

* * *

უცხოეთი

—

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

კაპშტადტიდგან აუწყებენ „Standard"-ს: ინგლისელების ცხენოსან რაზმის ერთი უნტერ-ოფიცერი, რომელიც ტყვეთ იყო ბურებთანა და გამოქცეულა, გვიამბობს, რომ ბურებს თან არც სურსათი დააქვთ და არც სათადარიგო ტყვია-წამალი, რადგანაც ყველა ეს მუდამ უზრუნველად მზადა აქვთ ფერმებში; სადაც კი ფერმას გაუვლიან, ყველგან აღტაცებით ეგებებიან და სულს იქით არას უჭერენო. მცხოვრებთაგანა ბევრი კიდევაც მიემხრო ბურებს. ბურები ამ ჟამად ლი-მიტფორდის სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნი, რომლებიც ინგლისელებს წაართვეს. ბურებს უმეტეს ნაწილად წინ ფერმერები მიუძღვიან და მტრის ჯარების მდებარეობას ჯარის უფროსებს ატყობინებენ. ახალშენის შუაგულ ადგილისა გარდა ბურებს ყველგან აღტაცებით ეგებებიანო.

— პარიჟის გაზეთს Ecler*-ში დაბეჭდილია წერილი ერთის ინგლისელ ოფიცერისა, რომელიც ამტკიცებს, რომ კიტჩენერს მართლა განკარგულება მიუხდენია „დევეტი ტყვეთ არ წაეყვანათ"; ეს ამბავი სწორედ მაშინ ყოფილა, როდესაც კიტჩენერს ჰგონებია, რომ დევეტი კალედონსა და ორანჟეს მდინარეს შუა მოვიმწყვდიეო. აი, რასა სწერს იგი:

„მე თითონ მივიღე ასეთი ბრძანება გენერლისაგან, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში ერთი უმთავრეს ადგილთაგანი ეჭირა. ბრძანება ორჯელ გამიმეორეს, რომ არ შევმცდარიყავი. შემდეგ შევიტყე, რომ ასეთივე ბრძანება ჩემზედ უფროს ოფიცრებსაც მიეღოთ, მე არ ვიცი, ამის შესახებ ისინი არასა ფიქრობდნენ და როგორ უნდა შეესრულებინათ ეს ბრძანება, რადგანაც მათთან ამის შესახებ ლაპარაკი და მსჯელობა არასოდეს არა მქონია. ამ სამარცხვინო ბრძანებასთან შედარებით რა მნიშვნელობა აქვთ ძარცვა-გლეჯასა და კერძო საკუთრების უფლების დარღვევასა, როდესაც მათ პირდაპირ მთავრობა აქეზებსო"! როგორც ამბობენ, კიტჩენერი სუდანშიაც ასრევე მოქცეულა და ტყვეები არ მიჰყოლებია.

— ლორენცო-მარკეზში მყოფი ნიდერლანდიის კონსული პოტტო ამბობს, რომ ბურების მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში ბევრად უმჯობესია, ვიდრე ინგლისელებისა: სამხედრო სამზადისი და იარაღი იმდენი აქვთ, რომ თუნდაც ორ-სამ წელს ეყოფათო. ამასთანავე, პოტტოს აზრით, ინგლისელები ბურებს ვერასოდეს ვერ დაიპყრობენ თურმე.

— ლაფვანის სააგენტოს აუწყებენ პრეტორიიდგან:

80 ბური ბრაკნანში ელექტრონის სადგურს დაეცა, რომელიც მთელის იოჰანნესბურგის მიდამოებსა და მადნებს ანათებს და ამუშავებს და დაანგრია იგი; ამის გამო იოჰანნესბურგის მიდამოები და მადნები ბნელაში დარჩნენ.

— ინგლისელებს კაპის ახალშენში ამ ჟამად სამის მტრის წინააღმდეგ უხდებათ ბრძოლა: ბურებისა, შავის ჭირისა და საზოგადოების აზრისა და შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ამ ბოლოს დროს თან-და-თან ულმობელი და სასტიკი ხდება. ინგლისელნი მოხელენი ყოველგვარს საშუალებასა ხმარობენ, რომ ბურების სასარგებლოდ მოძრაობა როგორმე მოჰსპონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერას აწყობენ. დეპუტატი კაპის პარლამენტისა მერრიმანი ამ დღეებში ინგლისში წავიდა, რომ თავისს მემამულეთაგან დავალებული შუამდგომლობა ინგლისის მთავრობას გადასცეს და სამხრეთ აფრიკის საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა გააცნოს. მალე ზაუერიც მერრიმანს გაჰყვება.

კაპის ახალშენში შავის ჭირის გავრცელების შესახებ ბრიუსელის გაზეთს „Petit Bleu"-ში შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი: „კაპშტადტიდგან გუშინ მიღებული წერილი იუწყება, რომ ინგლისის მხედრობაში ამ ჟამად შავი ჭირია გავრცელებული. ამ რამდენისამე კვირის წინად კაპის ახალშენში სამი კაცი მოკვდა შავის ჭირისაგან. სენი უთუოდ ეგვიპტიდგანა ან ინდოეთიდგან უნდა იყოს გადმოტანილი, მაგრამ ინგლისის მოხელენი რაც შეუძლიათ ჰმალავენ. მიუხედავად ამისა, რიცხვი ავადმყოფთა და დახოცილთა დღითი-დღე მატულობს და სენი თან-და-თან ვრცელდება. ინგლისელები შავის ჭირის შესახებ არას ამხელენ, რომ კანადიდგანა, ავსტრალიიდგანა და ინგლისიდგან შემოსკრებმა მეომრებმა სამხრეთ აფრიკაში წასვლაზედ უარი არა სთქვან.

* * *

სასამართლოს მატიანე

დიმიტრი გვახარიას საქმე

სამშაბათს, 16 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, ბ-ნ ფრანცოვის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე ქუთაისის გუბ. შორაპნის მაზრის სოფელ ვარძიის მცხოვრებ დიმიტრი სისოს ძე გვახარიასი, რომელსაც ბრალად ედებოდა ამავე სოფლის მცხოვრების ზებედე კახიძის სასიკვდილოდ დაჭრა. საქმის გარემოება შემდეგია: 1898 წლის 23 ნოემბერს ვარძიაში მცხოვრებ გრიგოლ ქავთარაძის სახლში ქორწილზედ მოწვეულნი ყოფილან, სხვათა შორის, ბრალდებული გვახარია და განსვენებული ზებედე კახიძე. სადილის შემდეგ, როცა შებინდებულა, აშლილან სტუმრები და სახლიდგან აივანზედ გასულან. როგორც ზოგიერთს მოწმეებს უჩვენებიათ, გვახარიას ამოუღია ამ დროს ხანჯალი და დაუწყია ხალხში აქეთ-იქით ტრიალი; შეშინებული ხალხი შეჰხვეწნია, ისევ ჩაეგო ხანჯალი, მაგრამ იგი არ დაწყნარებულა; ამ დროს მას მიახლოვებია ზებედე კახიძე და პტელიც დაუკრავს ხანჯალი და გაქცეულა. გვახარიას რაკი ხანჯლით ვერა გაუწყვიტა-რა, უძგრია რევოლვერი, გამოსდევნებია კახიძეს და უსროლია ტყვია, რომლის ჭრილობისაგანაც იგი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. ეს საქმე პირველად განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, სადაც ბრალდებულს გვახარიას განუცხადებია, რომ მე მაგ საქმეში არავითარი ბრალი არა მაქვსო, კახიძე ქავთარაძეებმა მოჰკლეს და, რომ თავიდგან სასჯელი აეშორებინათ, მე გადმომაბრალესო. ერთს რიგს მოწმეებისას უჩვენებიათ სასამართლოში, ისეთი არეული ჩხუბი იყო ამ შემთხვევის დროს, რომ სწორედ არ ვიცით, ვინ დასჭრა კახიძეო; ხოლო მეორეს—რომ კახიძე ნამდვილად გვახარიამ მოჰკლაო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს გვახარია უდანაშაულოდ უცვნია კახიძის სასიკვდილოდ დაჭრაში და გაუმართლებია. განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში ბრალმდებლის ამხანაგს ა. ფ. ესსენს, რომელიც სხვათა შორის, აცხადებს, რომ სასამართლოში სრულიად გამოირკვა ფაქტი გვახარიასგან გულმოსულობის დროს კახიძის მოკვლისა, რისთვისაც გვახარია კანონისამებრ უნდა დაისაჯოსო. სამოსამართლო პალატაში ბრალდებულს იცავდა ბ-ნი ტურკევიჩი, რომელმაც მიაქცია სასამართლოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ კახიძე არეულს ჩხუბში მოუკლავთ, ასე რომ გამოურკვეველი დარჩა ბრალდებულის ამ საქმეში რაიმე მონაწილეობის მიღებაო. პალატამ დამნაშავედ იცნო დიმიტრი გვახარია კახიძის განზრახვით მოკვლაში და გარდაუწყვიტა ყველა განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა.

—

ლუკა მაისურაძის საქმე

1898 წელს, 15 ოქტომბერს, რაჭის მაზრის სოფელ წედისში მოუკლავთ ჩხუბში სპირიდონ მაისურაძე, რომლის გვამი დაეგდოთ ვასილ მაისურაძის კალოზედ. როცა ეს ამბავი შეუტყვია მოკლულის ძმას ლუკა მაისურაძეს, გაშფოთებული მისულა ძმის გვამთან დ დიდ ხანს უტირნია; შემდეგ მეტის ჯავრისაგან დარეტიანებული წამომდგარა ზეზედ, დაუნახავს მიხეილ მაისურაძე და ისე მაგრად შემოუკრავს იმისთვის ხანჯალი ყბაში, რომ ამ ჭრილობისაგან მიხეილს ცალი თვალი დაშავებია, ხოლო ყბა მიჩეხილი აქვს თურმე. ბრალდებულ ლუკა მაისურაძეს ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს განუცხადებია, რომ მე დამნაშავე ვარ მიხეილის ასე დასახიჩრებაში, მაგრამ ეს მომიხდა სრულიად

კომედია იმით თავდება, რომ შარბათოვი თითზედ იკბენს: „აკი ვთქვი, რომ ასე უნდა მომხდარიყოო; ლევანის დედ-მამა-კი მწუხარებას ეძლევიან და თავადი ლაბაძე მძიმე ამოოხვრით გაიძახის: „ვაი დალუპულო ოჯახო, ვაი დალუპულო შვილოო"!.

ასეთია ასხმული აზიანის კომედიისა და, დარწმუნებული ვართ, ავტორს ვერავინ ვერ უსაყვედურებს, ცხოვრებას გაექეცი და დაამახინჯე იგიო.

შეიძლება იკითხოს ვინმემ—„მერე, რა არის ახალი ავტორის მიერ მოთხრობილ ამბავში?"-ო.

თვით ამბავში—არაფერი და კომედიაში-კი ყველაფერი, ვუპასუხებთ ჩვენ.

ჯერ ერთი ავიღოთ თვით „კომიკური გარემოება", რომელიც საზოგადოდ ყველა კომედიის დვრიტაა. „კომიკური გარემოება", ქ-ნ აზიანის ნაწარმოებში აღბეჭდილი, ჩვენის დრამატიულის მწერლობისათვის სულ ახალია და ამასთან ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. მერე რითი გამოიხატება ეს „კომიკური გარემოება"?—„ფულისა" და „ხარისხის" ერთად მოუთავსებლობით.

რატომ, ხშირადა ხდება ხოლმე, რომ ცხოვრება ამ ორ მოვლენას სამ-ტკბილურად ათავსებს ერთსა და იმავე კალაპოტში, მაგრამ ამისთანა შემთხვევაში ერთისაც და მეორის გამომეტყველნი სულ სხვა ხასიათისანი არიან, არა ჰგვანან აზიანის კომედიის გმირთ.

ცხოვრებამ ვერ იგუვა, ვერ შეიშვნია ამ მოურიგებელ, გათავ-თავადებულ მოვლენათა გაერთიანება, რადგანაც ხარისხი—(რასაკვირველია, მარტო ფორმით და არა შინაარსით) თ. ლევან ლაბაძე—მომზადებული არ არის ფულის ყადრი იცოდეს და დააფასოს იგი, და ფული—მაშო შარბათოვისა—ისეა აღზრდილ-გაწვრთნილი, რომ ვერც ის შეიგნებს სულსა და გულს ხარისხისას და, ამის გამო, ვერც შეიშვნევს მას.

ამიტომაც ცხოვრება დასცინის, მასხარად იგდებს მათ სურვილს იმის შეერთებისას, რაც ბუნებრივად შეუერთებელია.

და აი, სწორედ ამითი გამოიხატება „კომიკური გარემოება" აზიანის კომედიისა.

ახალია აგრეთვე ჩვენს დრამატიულ მწერლობაში თ. ლაბაძისა, ლევანისა და კოწიას ტიპები.

ძველ მწერლების ნაწერებში ვერ შეხვდებით ლაბაძისთანა გაკოტრებულსა და ამავე დროს, ამ გაკოტრებისაგან ჭკუაში ჩავარდნილ თავადს, რომელსაც შეუგნია ფულის ყადრი, მისი მძლეთა-მძლეობა და სცდილობს ხერხიანის საბუთებით დაუმტკიცოს შარბათოვს, რომ ყაირათობა—სომეხი და ბედოვლათობა—ქართველი ერთად რომ შევაკავშიროთ, ზომიერება წარმოსდგება, რაც ჩვენთვისაც და თქვენთვისაც ერთნაირად კარგიაო.

რაც შეეხება ლევანსა და კოწიას—მათი სცენაზედ გამოსვლა სულ პირველია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ქ-ნი აზიანი სრულიად დამოუკიდებელია.

შარბათოვისა და მისი ცოლის პროტოტიპები ბ-ნ სუნდუკიანცისა და ა. ცაგარლის პიესებში მოიძებნება („პეპო" და „ციმბირელი") და რაც შეეხება შარბათოვის ქალს მაშოს—ეს ტიპიც, ჩვენის აზრით, სულ ახალია.

ქ-ნ აზიანს კარგად გაუთვალისწინებია ის ფუქსავატობა, უეცრად მოჩვენებულის გრძნობით აპილპილება და სულიერი სილატაკე ჩვენის თანამედროვე „ნასწავლ" ქალისა, რომელსაც სწავლისა მხოლოდ ზედა პირი შეუთვისებია და ღრმად არ ჩაუხედნია ამ სწავლაში. ამას ზედ დაურთეთ გავლენა იმ არა-კულტურულ პლუტოკრატიის წრისა, რომელშიაც შარბათოვებისთანა ქალები იზრდებიან და თვალ-წინ სავსებით წარმოგიდგებათ მაშო შარბათოვისა.

ზიზილ-პიპილები, რომანიული შემთხვევები და ისე გათხოვება, როგორც სულის აღმძვრელ რომანებშია მოთხრობილი, აი რა ასულდგმულებს მაშოს...

და ყველა ამას სასტიკად დასცინის, სამარცხვინო ბოძზედ აკრავს თვით ის ცხოვრება, რომლის პირმშო შვილნი აზიანის კომედიის გმირნი არიან.

ქ-ნი აზიანი არ გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რამაც წარმოშობა და აღზარდა ასეთის თვისების ხალხნი და ეს შეუძლებელიც არის ისეთ პაწია კომედიაში, როგორიც „ფული და ხარისხი"-ა. ავტორი მხოლოდ გვიხატავს იმას, რაც ამა თუ იმ წრეში ჭირ-ვარამია და ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

რაც შეეხება თვით კომედიის ტეხნიკასა, ე. ი. იმ საშუალებათა და ხრიკთა ასხმულას, რომელთაც ავტორი ჰხმარობს ამა თუ იმ ადამიანის არსების ან რომელისამე მდგომარეობის აღსანიშნავად,—ქ-ნი აზიანი, ცოტა არ იყოს, მოისუსტებს, რაც ჩვენის აზრით, გამოუცდელობის ბრალია. კომედია როგორღაც ეპიზოდიურია და მის მოქმედებათა შორის თანდათანობა, ერთისაგან მეორის წარმოშობის მიზეზი დაცული არ არის.

ბევრი რამ, რაც მაყურებლის თვალწინ უნდა მოხდეს, მაყურებელს მომქმედთა სიტყვით ეუწყება და ამიტომ პიესას მოძრაობა აკლია.

მაგალითად, პირველისა და მეორე მოქმედების შუა არავითარი კავშირი არ არსებობს; პირველ მოქმედებაში ჩვენა ვხედავთ თ. ლაბაძის ოჯახის დასურათებას; მეორე მოქმედებაში ავტორი შარბათოვის ოჯახს გვაცნობს და თითოეული ეს მოქმედება ცალკე სურათი იქნებოდა, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, მეორე მოქმედებაში რომ ეპიზოდიურად ჩართული არ იყოს საუბარი ლევანის დაქორწინების შესახებ.

ჩვენის აზრით, ავტორი კარგს იზამდა, რომ ერთი ორი სცენა ლევანისა და მაშოს შეხვედრისათვის მოენდომებინა. (მეორე მოქმედებაში ლევანს სრულიად არა ვხედავთ).

მეორე მოქმედების შემდეგ მაყურებელმა უკვე იცის, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ლევანისა და მაშოს შეუღლებასა, ლაბაძიანთ და შარბათოვიანთ დამოყვრებას, მაგრამ ეს წარმოდგენით განცდა მომავლისა საკმარისი როდია. საჭიროა მოქმედების თან-და-თანობითი განვითარება და ამ განვითარების პროცესთან ერთად უნდა განიმარტებოდეს თვით მომქმედთა ხასიათებიც, მხოლოდ მარტო სხვის სიტყვით-კი არა, არამედ საკუთარის მოქმედებით. საჭირო იყო, ავტორს თვით ლევანის მოქმედებით დ არა სხვისის სიტყვით, აღენიშნა ზრდა ლევანის აბეზარობისა და გარეწრობისა; ავტორს-კი უეცრად და პირდაპირ გადავყევართ მოწმედ უკვე სავსებით გამოთქმულის განხეთქილებისა ლევანისა და შარბათოვის ოჯახს შორის. მაშინ უფრო ძლიერად დაცხოვლად ბლინიშნებოდა მოქმედ პირთა ხასიათის სხვა და სხვაობაა ერთის სიტყვით, კომედიის ხლართს თანდათანობითი განვითარება და მოძრაობა აკლია.

მაგრამ ამ ნაკლს შემდეგში დრო და გამოცდილება შეავსებს. ისიც კმარა, რომ ქ. აზიანმა კალმის პირველსავე ნაცადში გამოიჩინა ცხოვრების დაკვირვების, შთაბეჭდილებათა შესისხლხორცების და მერე იმათი სურათ ხატებად გადმოცემის უნარი.

სიტყვა-პასუხი, წერის კილო ქ-აზიანისა სხარტულია და ცხოველმეტყველი.

ინ-ზენ

ტიკმა და ცინიკმა, მაგრამ გულმართალმა და კეთილმა ლორდმა მელბურნმა ახალგაზრდა დედოფალი შეითვისა და ერთგულად დაუწყო ხელმძღვანელობა, ჭკვიანი გზა გაუკაფა, გაუსწორა. მიუხედავად მელბურნის რჩევისა, ტორიები დედოფალს ცუდად მოეპყრნენ: ვიქტორია, მათის აზრით, ვიგების მორჩილი იარაღი იყო მხოლოდ. ეს უკმაყოფილება უფრო იზარდა და გამწვავდა მაშინ, როდესაც დედოფალი დაეპირა პრინცს ალბერტს მისთხოვებოდა: კონსერვატიულმა ოპოზიციამ მაშინვე გარანტია მოითხოვა, რომ დედოფლის მომავალს მეუღლეს ნება არა ჰქონოდა სახელმწიფო საქმეებში ჩარეულიყო, და წინააღმდეგობა განაცხადა იმაზედ, რომ სახელმწიფოსაგან ჯამაგირი არ დაჰნიშნოდა.

მეორე მხრივ ხალხშიაც დიდს უკმაყოფილებას აცხადებდნენ, თითქმის სრევოლიუციო მოძრაობა იჩენდა თავსა, პური, საბაჟო გარდასახადების გამო, დაძვირებული იყო, სამუშაო ფასი დაცემული. ეკონომიურს კრიზისს ახლა პოლიტიკური დაერთო ზედა, რომელიც რეფორმისათვის დიდს ბრძოლას მოჰყვა შედეგად. ყოველის მხრიდგან უნუგეშო ამბები ვრცელდებოდა. კარლეილი, ძველის აღთქმის წინასწარმეტყველსავით, სრულს განადგურებასა და მოოხრებას უქადოდა. ყველას ასე ეგონა, რომ ინგლისიც ხმელეთის სახელმწიფოებსავით შინაურ რყევისა და მოძრაობის გამო სრულიად დაუძლურდებოდა, ტრადიციული თავისუფალი დაწესებულებანი გაჰქრებოდნენ, ტახტი შეირყეოდა.

„მაგრამ საქმემ სულ სხვა მიმართულება მიიღო. ინგლისი რეფორმებს წინ დაუხედავად შეეგება. სადაც უწინ იწრო ოლიგარხია (არისტოკრატთა უმცირესობა) იყო გამეფებული, იქ ეხლა დემოკრატია ჩადგა. და ყველას განსაცვიფრებლად იმ დროს, როცა ხალხის უფლებანი დღითი-დღე მატულობდნენ, მრავლდებოდნენ, თავისუფლება ვითარდებოდა და მტკიცე ნიადაგს პოულობდა, იმ დროს, როდესაც პარლამენტის ნამდვილ მბრძანებლადა და მასთან ერთად მთავრობის მბრძანებლადაც ერი ხდებოდა, თვით მეფის უფლება და გავლენაც იზრდებოდა, მტკიცედ მყარდებოდა. და აი, დედოფლის ვიქტორიას მეფობის განსაკუთრებულს თვისებასაც სწორედ ეს ორის ძალის მხარ-და-მხარი თანაბარი განვითარება შეადგენს. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერს ქვეყნის მართვა-გამგეობაში განსაკუთრებული უფლებანი მოუპოვებია, დემოკრატია განუსაზღვრელის უფლებებით აღჭურვილა; ყოფილა შემთხვევები, როდესაც დინასტია აღმდგარა და აღორძინებულა, ერთგულობა, ქვეშევრდომლობა აღუვავებულა, მეფის უფლება უსაზღვროდ გაფართოებულა, მაგრამ ისეთი მაგალითი, როგორსაც წარმოგვიდგენს განსვენებულის დედოფლის ვიქტორიას მეფობა, როდესაც ერისა და დემოკრატიის უფლებებთანა და წინ-სვლასთან ერთად პატივისცემა და უფლება მეფისა გაფართოებულიყოს, განმტკიცებულიყოს, იშვიათია, ისტორიამ სხვა მისებრი მაგალითი არ უწყის. და დედოფლის ვიქტორიას უმაგალითო და უდიდესს სამსახურსაც სწორედ ეს შეადგენს. იგი საკონსტიტუციო მმართველობის წარმომადგენლის ნამდვილი მაგალითი იყო.

„ეჭვი არ არის, ამ საქმეში დედოფალს ბევრით დაეხმარა ის გარემოებაც, რომ იგი დედაკაცი იყო; მაგრამ ნაკლები გავლენა არც მისს პირადს მოღვაწეობასა ჰქონია. სხვა არა იყოს-რა, მარტო ის სდებდა მისს მოქმედებას პატივსა, რომ 63 წლის მეფობის გამოცდილება ჰქონდა, რის მაგალითიც ისტორიამ სხვა აღარ იცის. მისს მეტს სხვას არავის შეეძლო ერთის სიტყვით, ერთის რაიმე უბრალო მოქმედებით ისე ადვილად აემოძრავებინა ყველა ქვეშევრდომის გული, მთელს ერზედ დიდი გავლენა ჰქონდა. დაბოლოს იგი განხორციელებულ იმპერიად, მის ერთობად, მის დიდებად, მის წარსულად შეიქმნა. იგი სრულიადაც არ იყო ღირსი, რომ ჩემბერლენის სამარცხვინო, ძალადობის პოლიტიკა მძიმე ტვირთად ეტარებინა: დედოფალი ამ პოლიტიკამ მოიდნოო“.

სასამართლოს მატიანე

თოკვა ცვიჟბაიას საქმე

1897 წლის 6 ოქტომბერს სოხუმის ოლქის სოფელ ჭილაგში მიწვეულნი ყოფილან, სხვათა შორის, ამავე სოფლის მცხოვრებნი თოკვა მოსეს ძე ცვიჟბაია და ბაკუ გოგუა. როცა კარგად შეზარხოშებულან, გოგუას აუღია ღვინით სავსე ბოთლი და ცვიჟბაიასთვის უსროლია, რომელიც ამის გამო გაანჩხლებულა, წამოვარდნილა ზეზედ ამოღებულის დანით და დაუჭრია გოგუა კისერსა და თავში. ამ ჭრილობისაგან რამდენისამე ხნის შემდეგ გოგუა გარდაიცვალა. ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია ცვიჟბაია და გარდაუწყვეტია მისთვის 2 წლის ვადით ციხეში დაპატიმრება. ტფილისის სამოსამართლო პალატამ, სამშაბათს, 16 იანვარს, ხელ-მეორედ განიხილა ეს საქმე და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

—

ექ. ღლონტის საქმე

სამშაბათს, 16 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბ. ოზურგეთის მაზრ. სოფ. მაკვანეთის მცხოვრების ექვთიმე მაქსიმეს ძის ღლონტისა და ჯურუყვეთელ აზნ. ნიკოლოზ პავლეს ძის გიგინეიშვილისა, რომელთაგან გიგინეიშვილს ბრალდებოდა 1898 წლის ოქტომბერში ქალაქ ბათუმში ფილიპოვის მაღაზიიდგან 300 მან. ღირებულ ნივთების მოპარვა, ხოლო ღლონტს ამ ნივთების შენახვა და ქურდობის დაფარვა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივენი და გარდაუწყვიტა ღლონტს 4 თვით, ხოლო გიგინეიშვილს 3 თვით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკაში გარდაიცვალა ცნობილი ქიმიკოსი ნატანიელ უელსი. პატივცემული მეცნიერი 107 წლისა მოკვდა. თავისს სიცოცხლეში უელსს 25-ჯერ შემოუვლია დედამიწის გარშემო. მოხუცი ყოველთვის ამბობდა თურმე, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე ადამიანისა სამ რამეზეა დამოკიდებულიო: კაცი ყოველთვის კარგ გუნებაზედ უნდა იყოს, კარგი მადა უნდა ჰქონდეს და ყოველდღე ცივ წყალში ბანაობდესო.

* * *

ნიუ-ჯერსეიში გარდაცვლილა ამას წინად ვილაც ტეინგე პანაშვილი და წირვა წმ. ფრანცისკის ეკკლესიაში უნდა გარდაეხადათ. კუბო მიცვალებულითურთ ეკკლესიამდე მიუტანიათ და იქ კარებთან დაუდგამთ. იმ დროს, როდესაც უნდა აეღოთ კუბო და შუა ეკკლესიაში დაედგათ, მოულოდნელად, სხვათა დაუხმარებლად, იგი თვით დაძრულა კარებიდგან და შუა ეკკლესიამდე მისულა. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით კარებისაკენ გაქანებულა. ერთი ყვირილი, ჭყლეტა და ვაი-ვაგლახი გაიმართა თურმე ეკკლესიაში. ყველა განცვიფრებაში იყო, კუბო თავისს-თავად როგორ დაიძრაო. ბოლოს შეშინებული ხალხი სამარხ ბიუროს წარმომადგენელს დაუმშვიდებია. თურმე ამ კაცს თვით-მოსიარულე კუბო გაუკეთებინებია, განსაკუთრებულ მანქანებითა და ელექტრონით მოწყობილი. დღეს მინდოდა გამომეცადნა, უთქვამს ბიუროს წარმომადგენელს, ივარგებს თუ არა ასეთი კუბოო.

* *

ამერიკელს მილიონერს ჯონ როკფელერს ამას წინად სამი მილიონი მანეთი შეუწირავს ჩიკაგოს უნივერსიტეტისათვის. ორი მილიონი მანეთი ხელ-უხლებელ თანხად უნდა დარჩესო, რომლის სარგებელიც უნივერსიტეტის საერთო საჭიროებას მოხმარდება. დანარჩენი ფულიდგან 200 ათასი მანეთი უნივერსიტეტის სტამბისათვის შენობის ასაგებად იქმნა გადადებული.

* * *

ამ დღეებში რომის უნივერსიტეტის ახალგაზდა პრივატ-დოცენტს ტერეზა ლაბრიოლას პირველი ლექცია წაუკითხნია ფილოსოფიიდგან. ლექციას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. აუდიტორია, კარიდორები და უნივერსიტეტის ეზო სავსე იყო თურმე ხალხით. ლაბრიოლას დიდის აღტაცებით მიეგებნენ. ამავე დღეს პირველი ლექცია წაუკითხნია ანატომიიდგან პავის უნივერსიტეტში მეორე ქალს, რინა მონტის, მკურნალობის დოქტორსა. ხალხი ამ ქალსაც დიდის აღტაცებით მიჰგებებია.

* * *

ოსმალეთის სულთანის არამხანის ქალები ეს რამდენიმე კვირაა დიდ სიხარულში არიან თურმე: სულთანმა ნება მისცა ერთ ფოტოგრაფს, ამ ქალების სურათები გადაიღოს. ეს ახალი საქმეა ოსმალელ ლამაზებისათვის და სულთანმა ფოტოგრაფს მანამდე არ მისცა სურათების გადაღების ნება, ვიდრე მან მაჰმადიანობა არ მიიღო. ფოტოგრაფს დიდძალი სურათები გადაუღია თურმე და პარიჟში გაუგზავნია, სადაც გამოფენის გამართვას აპირებს.

* * *

უხნეს კაცად დღეს მთელ დედამიწის ზურგზედ ნოა რობი ითვლება. რობი ჩრდილოეთ კაროლინაში (ამერიკაშია) დაიბადა ინდოელ ქალისა და თეთრ-კანიან კაცისაგან. ოცდა ათი წელიწადია, რაც რობი ნიუ-ჯერსის თავ-შესაფარში სცხოვრობს. წარსულ აპრილს ამ კაცს, როგორც თვითონ ამბობს, 178 წელიწადი შეუსრულდა თურმე. რობი ჯერ კიდევ მხნედ არის, თუმცა თვალთ აკლია და ვერაფერსა ჰხედავს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი

პეტერბურგი. 15 იანვარს, საზღვაო კორპუსის დაარსებიდგან 200 წლის შესრულების დღესასწაულობის მესამე დღეს, მარინის თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნა გამართული, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და დიდნი მთავარნი: სერგეი ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე, კირილე ვლადიმირის ძე, ალექსანდრე მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე დაესწრნენ. წარმოადგინეს „ევგენი ონეგინი“. წარმოდგენის დასასრულ საერო საგალობელი სამჯერ იქმნა გამეორებული.

პეკინი. ლიხუნგჩანგს საშინელი ციება აქვს; კვალად ჯანმრთელობის დაბრუნება საეჭვოა.

14 იანვარს ჩვანგი და იუხსიენი იქმნენ სიკვდილით დასჯილნი. პრინცი ჩუნი და მისი ძმები ვალდერზეემ საიმპერატორო სასახლეში მიიღო.

17 იანვარი

პეტერბურგი. 16 იანვარს კადეტთა საზღვაო კორპუსში შესანიშნავი ბალი იქმნა გამართული, რომელსაც ექვსი ათასამდე კაცი დაესწრო.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ ქალაქის მოურავად თავადი გოლიცინი ამოირჩია.

პრეტორია. აქ წაკითხულს ოფიციალურს პროკლამაციაში დიდის ბრიტანიის მეფის ედუარდ VII-ის ტახტზედ ასვლის შესახებ სხვა ტიტულთა შორის მეფე „ტრანსვაალის უმაღლეს ხელმწიფედაც“ იხსენება. პროკლამაციის წაკითხვის შემდეგ კიტჩენერმა მეფის პატივსაცემლად სამჯერ „ვაშა“ გაიმეორა.

ლონდონი. კემბრიჯისა და ტეკის ჰერცოგთა თანხლებით მეფე აქ მობრძანდა.

პეკინი. იუწყებიან, რომ ლიხუნგჩანგმა და ცინმა მოახერხეს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებაში შენსა და ჩჟუფუს მონაწილეობა მიეღოთ. ჩჟუფუ, რომელიც ამ ბოლოს დროს ჩჟილის პროვინციის ხაზინადრად იქმნა დანიშნული, წინად კორეაში იყო ჩინეთის ელჩად.

საელჩოს დარაჯისათვის ბინების შენებას გერმანელები დღეს შეუდგნენ.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ გუშინდელ ნომრის დეპეშაში შეცდომით დაბეჭდილია: „პეტერბურგი... დიდმა მთავარმა ალექსეი ალექსანდრეს ძემ წაიკითხა უმაღლესად ბოძებული სოფელი“, უნდა იყოს: „უმაღლესად ბოძებული სიგელი“.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

„ივერიის“ 1900 წ. მე-282 ნომერში დორპატელი სტუდენტი ივ. პოლუმორდვინოვი წერილით მოგვმართავს ვაცნობოთ საზოგადოებას ტფილისსა და დაბა სურამში მისგან გამართულ საქველ-მოქმედო წარმოდგენებიდგან (დორპატელ ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ) შემოსულის ფულისა (150 მ.) და ანგარიშის მიღება. ვაცნობებთ პატივცემულს საზოგადოებას, რომ ზემოაღნიშნული ფული (150 მან.) ბ-ნმა პოლუმორდვინოვმა უკვე ჩაგვაბარა ღარიბ ამხანაგების გადასაცემად. თანვე წარმოგვიდგინა ანგარიშიც, რომელშიაც ვრცლად იყო აღნიშნული და დასაბუთებული მხოლოდ გასავალი. შემოსავლის შესახებ-კი მან გადმოგვცა მარტო ორი ბარათი: ერთი ქ-ნ სუსლოვასი, რომელშიაც იყო აღნიშნული ტფილისში გამართულ წარმოდგენიდგან შემოსულის ფულის მხოლოდ საერთო ჯამი; მეორე ქ-ნ წერეთლისა, სადაც ასრევე მოხსენებული იყო საერთო ჯამი სურამში გამართულ წარმოდგენის შემოსავლისა.

ვაცნობებთ-რა ამას საზოგადოებას, გულითადს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც მიიღეს ჩვენთვის შრომა და სტ. პოლუმორდვინოვს ხსენებულ წარმოდგენების გამართვაში დახმარება აღმოუჩინეს.

დორპატელ ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტუდ. ვ. ბასიშვილი

1901 წ., 7 იანვარი.
ქ. დორპატი.

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

20 იანვარს:

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

მიხეილ აბაზაძისა, გიორგი თათულაშვილისა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუნაიშვილისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

განცხადებანი

ყიდულობენ

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დარჩენილს დამფუძნებლების მიერ შეტანილს წილს, რომელიც 300 მან. აღემატება და 1901 წ. 1-ლ მაისისათვის უნდა იქმნეს დაბრუნებული; სყიდვა შეთანხმებით შეიძლება. მსურველმა მირიმანოვის კანტორას უნდა მიჰმართოს, „სკვერის“ პირდაპირ. (1—10—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901 წელს, 25 იანვარს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანდასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით იქმნება გაცემული დუქნები და სარდაფები ქალაქის სახლში (შიოევისეული) გოლოვინის პროსპექტზედ.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

2 (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 23 ამა იანვარს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანდასწრებით, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ორის ქვითკირის თავშესაფარის აგების საქმე ტფილისის მე-7 ნაწილში. იჯარა სულ 28,138 მან. 43 კაპეიკისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

3 (3—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე